

სოციალისტ-ფერალისტთა

1921

ქართული
ბიულეტენი
წელი 300 მანეთი

ფერალისტთა

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 8
ტელეფონი 12-29

მიიღება ხალის მოყვარე
„სოციალისტ-ფედერალისტები“

სახლი მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.

მწუხარებით უმლოკლუნე: დედა ალათი გოგონების ასული სამსონისი; ძმები აპალონი და ვახტანგი სამსონები, დები: კატო, ნატაშა, მინალორა (შურა) და ქალია; სიძეები: ვალლორა ქუთათელაძე და სპირიდონ ჯანადავა ღიწულაძე; მიშა ქსენია და კიკიაკო აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ამა ივლისის 26-ს გადამდის იქნება ოთხი თვის წირვა ძამითის (გურიაში) კვირიკის ეკლესიაზე და წირვა და პანაშვილი კათარაში ღვინვეის მონასტერში საღატო შემთხვევით იქნება დასაფლავებული, — უდროოდ დაკარგული სიცოცხლით სავსე — ახალგაზრდა

კეკელა გიტოს ასული სამსონიას

სკოლის მოსახსენებლად. 1256

ფურცლები

56.

რუხეთი და გერმანია

რუხეთი და გერმანია. საოცარი, ხანგრძლივი, მძიმე პირობებში ოპების შემდეგ, საბჭოთა რუსეთის კახლზე ფაქტიურად შექმნა ის მდგომარეობა, რომელიც აიძულებს ევროპას ანგარიში გაუწიოს რუსეთს არა როგორც ბანდიტების სახელმწიფოს არამედ უფლებამოსილ ახალ ტიპის ქვეყანას. ხალხის ნებისყოფა და ძალამ გამოკლება თანამედროვე რუსეთი, სახელმწიფოს ფორმალური ჩამოყალიბება, მისი იურის დიქცია, პირველ ყოვლისა ხდება ეროვნულ ორგანიზაციის ცხოველყოფილობით. ეს ნიშანდარი ამ ეპოქის სავსებით გამორკვეული და ჩამოყალიბებულია თვით რუსეთში. შინაური სიმტკიცე საერთაშორისო სახელმწიფოებრივ სფეროშიც ჩნდება და ევროპის სახელმწიფოებრივ იძულებული ხდებიან აღიარონ რუსეთი, როგორც დე ფაქტო, შემდეგ დე იურეც.

დღი მნიშვნელობა ქონდა ამ მხრივ ურთიერთობას ინგლისთან და ამერიკასთან. ამ ეპოქის კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს უკვე ჩამოყალიბებულს რუსეთ-გერმანიის ურთიერთობას.

ამ წლის 6 მაისს ბერლინში ხელშეკრულება შეიკრა გერმანიასა და რუსეთს შორის. ეს ხელშეკრულება რუსეთის დიდი გამარჯვებულ პირველი აქტის ბოლო შედეგია. გვახსენებენ შედეგს, რომელიც ნიშნავს რუსეთის ფაქტიურად ცნობას.

მეტის მეტად დამახასიათებელია პირველი მუხლის შემდეგ დებულება: საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობითი ხელისუფლება ერთად ერთს წარმომადგენლობით რუსეთისა გერმანიისა. არსებითად ეს ნიშნავს გერმანიის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობას. 6 მაისის ხელშეკრულებას აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა, ეხება იგი ცხოვრების მრავალ მხარეს, მაგრამ აქ ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ შეთანხმების მე-8 მუხლს, სადაც რუსეთის მატერიალური ინტერესები გერმანიის მიერ დადასტურებული და

დაცულია. როგორც მკითხველებმა იცნან ინგლისის წინააღმდეგ საფრანგეთმა სასტიკი პოლიტიკა გამოაცხადა მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთს ვერ მოუხერხებია რუსეთის პირველი რევოლუციონერი აქტი ვალის სულიერადი შესახებ. საფრანგეთის ეს ინტერესი არსებობს გერმანიის მიმართაც, მაგრამ გერმანიამ უკვე ვალდებულებებზე ზელი მოაწერა ესე იგი საფრანგეთის ფინანსურ არის ტოკრატის დაღვინის უწყურადღებოთ დატოვა. ჩვენი აზრით ეს ნიშნავს იმასაც, რომ საზოგადოდ ევროპაში მომწიფდა აზრი, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა მიჩნეულ იქნეს საზოგადოდ ერთადერთ წარმომადგენლობად ყველგან, ესე იგი მოხდას ლიკვიდაცია ექსტორია ყოფილ ზემთავობათა, სხვა და სხვა ავანტიურისტების, ჯგუფების და ბრბოების, რომელნიც თავის იფარავენ უმთავრესად სფრანგეთის შავრახმელების საშუალებით. დღეს ხდება ლიკვიდაცია რუსეთის ყოფილ პოლიტიკურ ხელისუფალთა ევროპაში, ბერლინის 6 მაისის აქტი ამის პირველი დოკუმენტია და ნორმალური ცხოვრების მიღწევისათვის საჭიროა რაც შეიძლება მეტი ასეთი აქტების მიღება.

მეტად საგულისხაია, რომ ასეთი აქტი პირველად გერმანიაში შეიკრა. ჩვენ არა ერთხელ გვიაქვამს: რა რიგადაც არ უნდა სურდეს ანტიანტას გერმანიის და რუსეთს შორის უკმაყოფილების ჩამოგდება, ისტორიული ფაქტი შემდეგია, თვით ანტიანტის ვერსალე შექმნა ობიექტიური პირობები გერმანია რუსეთის შეკავშირებისა. ძირითად საკითხებში გერმანია რუსეთთან იქნება, რუსეთის სიმპატიები გერმანიისაკენა და ყოველი დღე ანტიანტას არსებობისა მომასწავებელია რევოლუციის მასალების დაგროვების გერმანიაში, ესე იგი რუსეთის ფრონტის შეცვლა რუსეთ-გერმანიის საერთო სარეგულირებელი ფრონტის სასარგებლოდ.

დაიღა რუხეთი დაგდასტურდა. ევროპა რუსეთის დაგერმანის აზრს ეთხოვება, იწყება ერიგების აზრი. ამ პოლიტიკით რევოლუციონერი რუსეთი

არაფერს დაკარგავს. შეიარაღებულ ბრძოლაში ის გამარჯვებული გამოვიდა, მწიფობისთვის გზითაც ანტიანტა იმის მიიღებს, რაც შეიარაღებულ ბრძოლით მიიღო დამარცხება. ანტიანტის მთელი პოლიტიკის დამარცხება — ი ელემენტები მიმდინარე მომენტის. მოხდება ანტიანტის კატასტროფა ბრძოლით თუ „მწიფობისა“ პოლიტიკით — სულ ერთია, ერების და კლასების თავისუფლება ამით მხოლოდ მოივებს.

თელა ლლონტი.

საქართველოს მთლიანობისათვის

დღევანდელ გართულებულ პირობებში, როდესაც ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ნაკვეთი განიცადა ახალ ძალის შემოჭრა, ჩვენი სახელმწიფოებრივ არსებობის თითქმის ყველა საკითხი კვლავ ხელ-ახლად წამოიჭრა და იძულებულს გვხდის კიდევ ერთხელ ვსთავებ ჩვენი სიტყვა.

სუბიექტიურად ეს თემა ჩვენთვის ისეთი ძველია, გადახარული, რომ გვეჩივირება კიდევ ამ ტრუზიმებით წერა, მაგრამ ამაში ჩვენი სინამდვილის სიმძაფრეც, რომ ძველი საკითხები აგვიშალა, და ჩვენთვის მობერებულ ქუმბარტებზე კვლავ მოინჯომა ჩვენი პათოსის გამოცდა. ქართული ენა, საქართველოს საზღვრები, ფული, ტერიტორია და სხვა... იმის საკითხები, რომელთაც ვეღვა დღეს ჩვენი ენერჯია, მართებულა ეს? რასაკვირველია არა, მაგრამ ობიექტური გარემო თავისი მთელი უპართებულობით გვიწყვეს ბრძოლაში, და ჩვენც ვიღებთ ამ ბრძოლას. და ათათასჯერ რომ იყოს მონებულული თემა საქართველოს შესახებ, სულ რომ ნათრევი იყოს იგი, ჩვენ მაინც კვლავ ახალი უნარით გამოვალთ მათ დასაცავად, და არასდროს არ მოგვებრდება საქართველოსთვის დარჯობა და სამსახური. მით უმეტეს დღეს, როდესაც საქართველოს მკერდზე აირიგნენ ყველა ძველი და ნაცნობი ფიგურები რომელთაც სურთ შექმნილ მდგომარეობის გამოყენება თავის ძველი მიზნებისთვის, ჩვენი წმიდა მოვალეობა კრიკუნი ჩაუტყუო მათ, და არ დაგვალე-თინოთ ჩვენი ერის მოღლილი ტანი.

ამა გადახედეთ ჩვენს ცხოვრებას. რა არა ხდება, როგორი უცერემონიოობით სთავავენ ქართულ თავ-მოყვარეობას, როგორი უტიფრობით დღინან ჩვენი მომავლის ღეროს, როგორი ზამით რწყავენ ჩვენი ღლოძინების ამოზინებულ ყვავილებს, თანაც სკრიან ჩვენს ქვეყნას საუკეთესო ნაწილებს. ამას წინადა ჩვენ მთელი ნომერი მოვანდომეთ „აქარისტანის“ საკითხს, რომელსაც ახალი მეჯლისის“ ეგოისტური ისაკუთრებენ და ლაპობენ მის საქართველოდან დამოუკიდებლად გადაჭრას. დღეს კი გვსურს საქართველოს მშრომელ ხალხის ყურადღება მივაქციოთ, „დამოუკიდებელ აბახაზეთისაკენ“, სადაც საევეთ პირები ძველ მეთოდებს აშუშავენ და სთესავენ დეგარძის საქართველოს საზიანოდ. ამ ერთ კვირაში უკვე ორი კორესპონდენცია დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, სადაც აწერილია ის საშინელი აღვირ-ახსნილობა და აწყვეთა, რომელსაც ადგილი უკონია „დამოუკიდებელ აბახაზეთში“.

მეფურ რეჟიმის მსგავსად აკრძალული ყოფილა სიტყვა „ქართული“. ქართველობა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება, სდევნიან, ავიწროებენ. ქართულ გაზეთს არ აქაჟანებენ. ერთი სიტყვით შექმნილია ისეთი ატმოსფერო, რომ პირდაპირ საშინელ შესაძლებლებს ჰყვება და ანეთარებს. სერე ხად? „დამოუკიდებელ აბახაზეთის“ ანუ სოხუმის ოლქის სიგრცეზე, სადაც დიდი უმრავლესობა ქართველობაა. ვინ მისცათ უფლება ამ ხალხს, რუსთა კომპანიონებს, რომ საქართველოს წიწ-წყალზე ასე უკანტროლოდ თარეზონენ? ჯერ თვით აბახაზეთის დამოუკიდებლობაც არ წარმოგვიდგენია, რადგან ქართულ ტომის და მოღმის ხალხი თავის ძმებთან უნდა იყოს, და როგორც უწინ, საუკუნეების განმავლობაში უწევია კულტურისა და პოლიტიკის საერთო ქაპანი, დღესაც ჩვენთან უნდა იყოს სრულიად საქართველოს განსამტკიცებლად. მაგრამ ვთვით ამის მოთხოვნა მთელი აბახაზეთი; მაშინ განა არ უნდა იყოს მათი არსებობის და გავლენის სფერო განსაზღვრული? განა სოხუმის ოლქი შეიძლება გადაიქცეს ენა-ლაკობას სმრძანებლად! შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებელი აბახაზეთის სახელმწიფო, სადაც დიდი უმრავლესობა ქართველობაა? ამა გადახედეთ ციფრებს. სოხუმის ოლქი ოთხ რაიონად არის გაყოფილი. 1919 წლის სტატისტიკური ცნობით, ასეთი არის სოხუმის ოლქის სურათი:

1) გულაუთის რაიონში მცხოვრები იყო სულ	22,790 სულ.
აქედან აბახაზეთი	— 17,211.
ქართველები	— 134.
2) გუმისტინის რაიონში სულ ითვლებოდა უსოხუმში	21,060 სულ.
აბახაზეთი	— 2,706.
ქართველები	— 5,550.
3) კოდორის რაიონში — სულ	23,561 სულ.
აბახაზეთი	— 18,059.
ქართველები	— 3,749.
4) სამურზაყანოს რაიონში სულ	38,441 სულ.
აბახაზეთი	— 2,000.
ქართველები	— 36,441.
ხოლო თვით სოხუმში	
აბახაზეთი	— 3,000.
ქართველები	— 25,056.
სულ აბახაზეთი	— 41,976.
ქართველები	— 60,980.

გავლენით დაიკვირთა. სახელმწიფო ენა რუსულია, თეატრა რუსული, გაზეთ რუსული, მმართველთა დიდი უმრავლესობა რუსები არიან და საერთოდ პოლიტიკაც რასაკვირველია რუსულია, ძველენური, ტლანქი და იმპერიალისტური. ვის უხვევენ თვალებს, ვის სურთ აუტრელონ თვლი ასეთი ჯამბაზობით? ეს არის აბახაზეთის დამოუკიდებლობა? ეს არის თვითგამორკვევა? ამას მოითხოვს აბახაზეთის მშრომელი ხალხი? არა, ჩვენ კარგად ვიცით სად უდგეს ამ მოვლენას სათავე, და გადაჭრით მოვითხოვთ უპასუხისმგებლო ავანტიურისტების აღადგენას.

აბახაზეთი ეთნიურად, ლინგვისტიურად, ისტორიულად, კულტურულად და საქართველოს ნაწილია, და მისი საკითხიც მხოლოდ საქართველოს მასშტაბით უნდა გადაწყდეს, სრულიად საქართველოს მშრომელი ხალხის სურვილისამებრ. საქართველოს და აბახაზეთს, როგორც მის ნაწილს, უსოვარდროიდან ერთად უვლიათ, პოლიტიკურ და კულტურული შემოქმედება ერთად უწარმოებიათ, და დღეს იქითაც მით უფრავინ დააშორებს ერთმანეთს.

საქართველოს რვე კომიტეტის უდიდესი მოვალეობაა დიდი ყურადღება მიექციოს ამ საკითხს და საზვარი დაუდოს ასეთ თავ-აშუებულ „პოლიტიკისების“ საქართველოსადმი სიძულვილს. რუსეთის ძველ მეოცნებეთ და შედეგად პოლიტიკანებს, გადახედებულ თითოერთი აბახა-ქართველებს ნუ აძლევენ საშუალებას იმ ველური პოლიტიკის საფარმობლად, რომელიც მეტად ცუდ საყფს გამოიღებს. საქართველოს მთლიანობის დაცვისათვის, მისი ეროვნული არსებობისათვის, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ აბახაზეთის გაწმენდას ათასგვარ ავანტიურისტებისაგან. მოვითხოვთ, რომ გაუქმებულ იქნეს სადაც „კაბინეტში“ დაწერილი აბახაზეთის „დამოუკიდებლობის“ დეკლარაცია და აღდგინდეს იქნეს ცოცხალი კავშირი და მთლიანობა ჩვენი ქვეყნისა.

გახტან კოტეცოშვილი.

რაშია საკმა?

(მუშა-მოსამახარებლის ხაყურადღებობად).

ხუთი თვეა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლება დამყარდა. იგულისხმება, რომ ამას თან მოჰყვა წინანდელ პირობების გადასხვაფერება. თეატრების გადატვირლებამ დიდი ცვლილებები შეიტანა არა მარტო სახელმწიფოებრივ აპარატის მოქმედებაში, არამედ საქართველოს მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში და მშრომელთა მასების ხელმძღვანელ ორგანიზაციებში.

ამ წერილის მიზანია: — მიიპყროს რამოდენიმე წუთით აბახაზე მუშა-მოსამახარებლის ყურადღება იმ ცვლილებებზე, რომელიც მოხდა ერთ-ერთ ხელმძღვანელ ორგანიზაციაში.

მხედველობაში მაქვს ტფილისის ცენტრალური საავადმყოფო, ან როგორც მას ეხლა უწოდებენ — დამზღვევი კასა. მაგრამ, მინამ სხენებულ ორგანიზაციაში

* უადვილობის გამო იბეჭდება მხოლოდ დღეს.

